

ოსტატურად აღებული სტარტი გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარია. ამიტომაა, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილე ცდილობს ამ მომენტით ისარგებლოს, შორი ნახტომის წყალობით სათავეში ჩაუდგეს გაცურვას. სურათზე სწორედ მსგავსი მომენტია აღნიშნული.

ფოტო ბ. კამენსკისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 108 (2471) ◉ ოთხშაბათი, 3 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.


## დღეს ნომერში:

- ტრადიციული საგაზაფხულო...
- ტურისტული ბილიკებით
- ივნისი — სპორტული, საერთაშორისო...
- სამი წლის შემდეგ...

## ი. ვლასოვი — 545 კგ

**პარიზში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, მიძღვნილი საფრანგეთის ძალოსნობის ფედერაციის 50 წლისთავისადმი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ფიცარნაგზე პირველად გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ი. ვლასოვი. მან კლასიკური სამჭიდის ჯამში 545 კგ აჩვენა.

## სსრ კავშირის თასზე

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მეთექვსმეტედფინალური თამაშების კალენდარი ჩვენი ქვეყნის თასზე „ა“ და „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებისთვის.

დღეს ერთმანეთს ხვდებიან „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) და „ლოკომოტივი“ (კრასნოიარსკი) — „დინამო“ (თბილისი).

ხვალ გაიმართება მატჩები: „ზარია“ (ლუგანსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) და „ტერეკი“ (გროზნო) — „შახტიორი“ (დონეცკი); **5 ივნისს** — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი), „კარპატი“ (ლვოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი); **7 ივნისს** — „როსსელმაში“ (დონის-როსტოვი) — სკა (დონის-როსტოვი); **8 ივნისს** — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი); **10 ივნისს** — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „დინამო“ (კიევი), სკა (ლვოვი) — „ვოლგა“ (გორკი); **19 ივნისს** — „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი), სკფ (სევასტოპოლი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (მინსკი) — ცსკა, „ენერგეტიკი“ (დუშანბე) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო).

თამაშები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

## თ. პრესი — 18,40, ი. პეტრენკო — 4,74, ვ. ბრუმელი — 2,18

მინსკში დამთავრდა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. ასპარეზობამ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მიიზიდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი.

სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაიბადა ჭოკით მხტომელთა შეჯიბრებაში. მისი ავტორი გახდა კიეველი ი. პეტრენკო, რომელმაც ფიბერგლასის ჭოკით დაძლია 4,74 მ. ეს შედეგი 4 სანტიმეტრით უკეთესია ხარკოველი გ. ბლიზნეცოვის ძველ რეკორდზე.

ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრებაზე მოხდა იშვიათი შემთხვევა: სამმა სპორტსმენმა ქალმა ბირთვი გაგზავნა 17-მეტრიანი ზღვრის იქით. საუკეთესო აღმოჩნდა თ. პრესის შედეგი — 18,40 მეტრი, რასაც მხოლოდ 15 სმ დააკლდა ამავე სპორტსმენის მსოფლიო რეკორდამდე. მეორე იყო გ. ზიბინა — 17,30 მ, მესამე — ი. პრესი — 17,21 მ.

იმავე ი. პრესმა ჩინებული დრო — 10,6 წამი აჩვენა 80 მ თარჯრბენში. 10-კილომეტრიან დისტანციაზე ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბ. ეფიმოვს — 29.13.

კარგი შედეგებით აღინიშნა აგრეთვე მსოფლიო რეკორდსმენების — ვ. ბრუმელისა და ტ. შჩელკანოვას გამოსვლები. ბრუმელმა დაძლია 218 სმ სიმაღლე, ხოლო შჩელკანოვამ სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 624 სმ.

დანარჩენი შედეგებიდან აღსანიშნავია გ. აქსიონოვის შედეგი შუბის ტყორცნაში — 80,31 მ და მოსკოველი ნ. კარასიოვისა — ბირთვის კვრაში — 18,79 მ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადის მძლეოსნებმა.

---

◆ გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ უნგრეთის ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. აღსანიშნავია, რომ ვაჟთა ნაკრებიდან 9 სპორტსმენი წელს პრაღის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. ესენი არიან: ი. კოვაჩი, ა. ფენიო, ი. მაროში, ბ. რაჩი, ლ. კოვაჩი, ფ. ბერკეში, ლ. შტილერი, ფ. ვიჩი, ი. ადორიანუ.

სტუმრებისადმი მიძღვნილი წერილი იხილეთ გაზეთის მე-4 გვერდზე.

◆ **მოსკოვი.** წყალში ხტომის დედაქალაქელმა ოსტატებმა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში დაამარცხეს ბერლინის გუნდი.

◆ ოდესა, 2 ივნისი. დღეს აქ გაიმართა კალენდარული მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ადგილობრივმა „ჩერნომორეცმა“ დაამარცხა ფრუნზეს „ალგა“ — 2:0.

◆ *კასალე-მონფერატო (იტალია). ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკლუბო გუნდების საერთაშორისო ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მეორე ტურში „დინამომ“ (სსრ კავშირი) გაიმარჯვა იუგოსლავიის „ჰაიდუკთან“ მატჩში — 6:0. კარგად ითამაშა კუტივაძემ. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „იუვენტუსი“ — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) 2:1, „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) — „კასალე-მონფერატო“ 0:1, „ტორინო“ — „ნაპოლი“ 1:0.*

*მომდევნო ტურში დინამოელებმა დაამარცხეს „ნაპოლი“ — 3:0 და თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ჯგუფში ყველას აჯობა „იუვენტუსმა“ (იტალია).*

*გუშინ, 2 ივნისს, გვიან საღამოს გაიმართა „დინამოსა“ და „იუვენტუსის“ ფინალური მატჩი.*

◆ **ამსტერდამი.** 2 ივნისს გაიმართა საზონათშორისო ტურნირის XI ტური. ლარსენმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ევანსთან, ივკოვმა — პორტიშთან. ტალმა მოუგო ბენკოს, შტეინმა — პერესს, სპასკიმ — პორატს, რეშევსკიმ — კვინონესს, ლენდიელმა — დარგას, პახმანმა — ფოგელმანს, ბრონშტეინმა — ბერგერს.

სმისლოვს გლიგორიჩთან გადადებულ პოზიციაში მატერიალური უპირატესობა აქვს.

## საჭადრაკო საათი...

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ბ. ლარსენი (დანია) — 8,5 ქულა, მ. ტალი, ბ. სპასკი, ს. რეშევსკი (აშშ), ბ. ივკოვი (იუგოსლავია) — 8 ქულა თვითეულს, დ. ბრონშტეინი — 7,5 ქულა და 1 უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია, ვ. სმისლოვი — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

## დისკრიმინაცია გრძელდება

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი, რომელიც შედგენილია ძირითადი მოსახლეობის („არათეთრი“) წარმომადგენელთაგან, ვერ გაემგზავრება სრულიად აფრიკის ჩემპიონატზე, რომლის ჩატარება განზრახულია მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში, განაში. მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდს ვიზებზე უარი უთხრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

მაგიდის ჩოგბურთის სამხრეთ აფრიკის ფედერაციის პრეზიდენტმა ს. მ. ბასამ განაცხადა, რომ ჩოგბურთელები ქვეყნიდან გამგზავრებაზე უარს უკვე მესამედ ღებულობენ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთა დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად, სამხრეთაფრიკელებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატსა და 1962 წლის სრულიად აფრიკის ჩემპიონატში. (საკდესი).

## ორი ტრაგედია

### ბიზნესსა და რეკლამას ადამიანები ეწირებიან

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გფრ-ში ჩვეულებად გადაიქცა სიკვდილიანობა პროფესიულ ავტორბოლაში. და ეს ტრაგედიები ბიზნესისა და რეკლამისთვის ხდება.

ინდიანაპოლისში „აშშ-ს დიდი პრიზისათვის“ რბოლის დროს, რომელსაც 250 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ახალგაზრდა დ. მაკდონალდის ავტომობილი, რომელიც საათში 200 მილის სისწრაფით მიდიოდა, დაეჯახა ვეტერან ე. საქსის მანქანას და ორივე სპორტსმენი დაიღუპა. მაგრამ... რბოლა არც კი შეწყვეტილა, რადგან გამარჯვებულს დიდი ფულადი ჯილდო ელოდა.

ორი სპორტსმენი დაიღუპა აგრეთვე რბოლაში „ნიურბურგის რკალი“, რომელსაც თითქმის მუდამ სდევს ტრაგიკული შემთხვევები.

როგორც ვიუწყებოდით, წყალბურთში სსრ კავშირის 1964 წლის პირველობის დამთავრების შემდეგ შედგა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები, რომელშიც შევიდა 16 კანდიდატი. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი წყალბურთელები საწვრთნელი ვარჯიშის ჩასატარებლად ბათუმში იმყოფებიან.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტის ა. ტულუშის ფოტოზე თქვენ ხედავთ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებსა და მათ მწვრთნელებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნ. გვახარიასა და მ. მალინს.

## ფრენბურთელთა ტურნე დამთავრდა

პეკინში ჩინეთის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრით ტურნე დაამთავრეს საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა, რომლებიც „ლოკომოტივის“ ბაზაზე იყვნენ დაკომპლექტებული.

კარგად ჩაატარეს დასკვნითი შეხვედრა ჩვენმა ქალებმა. მათ მოიგეს ანგარიშით 3:1. ვაჟთა გუნდების შეხვედრაში სამივე პარტია მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა.



# ტრადიციული საგაზაფხულო...



ეს იყო სპორტის ნამდვილი ზეიმი. თავიანთი ტრადიციული საგაზაფხულო სპარტაკიადის გახსნაზე სპორტსა და შრომაში მაღალი მაჩვენებლებით მოვიდნენ თბილისის სპორტკლუბ „სინათლის“ ფიზკულტურული კოლექტივები.

ზეიმის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სპორტსმენთა განკარგულებაში მყოფ პირველხარისხოვან ბაზებს შეემატა ახალი ნაგებობანი — მწყობრში ჩადგა კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი საჭიდაო, ძალოსნობის, კრივის დარბაზები, ველოსადგომი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა 50-მეტრიან სასროლეთს.

ახალი ბაზები ალმებითა და ტრანსპარანტებით იყო დამშვენებული. ამ სილამაზეს მეტ მიმზიდველობას სძენდა საჭიდაო დარბაზის მახლობლად ეზოში მოწყობილი გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო „სინათლის“ სპორტსმენთა მიერ საკავშირო შეჯიბრებებში მოპოვებული ვიმპელები, სიგელები, თასები და სხვა ძვირფასი პრიზები — ნაწილი იმ უამრავი „ნადავლისა“, რაც ტრანსპორტელმა ფიზკულტურელებმა დაისაკუთრეს წლების განმავლობაში. სპორტული გაზეთ „ფიზკულტურელის“ სპეციალური ნომერი მკითხველებს მოუთხრობდა წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე.

კალათბურთის მოედანზე სასულე ორკესტრმა სპორტული სამწყობრო დაუკრა. მოდიან კოლექტივის ორიათასიანი ფიზკულტურული ორგანიზაციის წარმომადგენლები — ალლუმის მონაწილენი! სპარტაკიადის მონაწილეებსა და ძვირფას სტუმრებს — ალმაატისა და რიგის საქალაქო საბჭოების დელეგაციებს, რომლებიც თბილისში იმყოფებიან და ფიზკულტურული კოლექტივის ზეიმზე დასასწრებად მოვიდნენ, მიესალმა „სინათლის“ სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ელექტრო-სამანქანო განყოფილების უფროსი ა. მირზოევი.

ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის ფიზკულტურულ კოლექტივში დანერგილია სპორტის 27 სახეობა. აქ ჰყავთ 56 ოსტატი და ასობით პირველი და მეორეთანრიგოსანი. საგაზაფხულო სპარტაკიადის პროგრამაშია 10 სახეობა. ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს 600-მდე სპორტსმენი ყველა საამქროდან.



სპარტაკიადის გახსნის ალამი აღმართეს სპორტკლუბის ტანმოვარჯიშეებმა — მათ, ვინც გასულ წელს სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე გუნდური ჩემპიონობა დაისაკუთრეს საწარმოო კოლექტივთა შორის.

საზეიმო ნაწილი დამთავრდა. სპარტაკიადის მთავარი მსაჯი გ. სამადაშვილი შეუდგა მოვალეობის შესრულებას. საჭიდაო დარბაზში გაისმა დოლისა და ზურნის ხმა — ქართულ ჭიდაობაში ტურნირის დაწყების ნიშანი, ტანმოვარჯიშეებმა სპეციალურ დარბაზს მიაშურეს, მაგიდის ჩოგბურთელებმა ღია ცის ქვეშ გააჩაღეს შეჯიბრება. სპარტაკიადის პირველმა დღემ ბევრი დააღონა „გაუთვალისწინებელი“ მარცხით, სხვები კი გამარჯვებით აღფრთოვანებულნი სახავენ ახალ გეგმებს.

სპარტაკიადა დაიწყო!

**ო. გელაშვილი**

* * *



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: „სინათლის“ ფიზკულტურელთა ასპარეზობის მომენტები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ქუთაისელები — ფინალში

ახლახანს ტუაფსეში ჩატარდა რკინიგზის სკოლების პიონერ-მოსწავლეთა ზონალური პირველობა კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ტუაფსეს, კიშინიოვის, სარატოვის, დონის-როსტოვისა და ქუთაისის გუნდები.

ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის რკინიგზის მე-11 საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეთა კოლექტივმა (მწვრთნელი ო. ადეიშვილი), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქუთაისის კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს სკოლების კალათბურთელ პიონერ-მოსწავლეთა ფინალურ შეხვედრებში.

ეს საინტერესო ასპარეზობა 1 ივლისს დაიწყება მოსკოვში.

**ი. ბუხაიძე**

## სავალალო ფაქტები

ჩოხატაურის რაიონში ჭადრაკი მასობრივი სპორტის სახეობა იყო: ბევრი მოყვარული იყრიდა თავს ჭადრაკის ოთახში, სადაც სისტემატურად იმართებოდა ტურნირები, რაიონის პირველობა, ამხანაგური შეხვედრები, ერთდროული თამაშის სეანსები. ჩოხატაურელი მოჭადრაკეები გამასპინძლებიან საქვეყნოდ ცნობილ მოჭადრაკეებს დიდოსტატ ლ. შტეინს, მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს, ოსტატებს ბ. გურგენიძეს, ა. ჩაიკოვსკაიას, მ. ტოგონიძეს და სხვებს, რომლებიც ლექციებსა და პრაქტიკულ თამაშში უზიარებდნენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას.

სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1962 წელს რაიონში გამოვლინდნენ პირველთანრიგოსნები, საგრძნობლად ამაღლდა მეორე და მესამეთანრიგოსანთა რაოდენობა. ჩოხატაურელებმა რაიონის ფარგლებგარეთაც ისახელეს თავი.

და ამის შემდეგ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რაიონში ჩაკვდა საჭადრაკო ცხოვრება. ამის მთავარი მიზეზია საჭადრაკო ოთახის გაუქმება. აღარ ეწყობა რაიონის პირველობა, აქტივს არ ეხმარება რაიონის ხელმძღვანელობა.

ტრადიცია უნდა აღდგეს!

**დ. გურგენიძე**

ჩოხატაური.

# აქ იზრდებიან ჩემპიონები

ზურაბ შენგელია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმში იღწვის და 10 წლის მანძილზე ფიზაღზრდის მასწავლებელს ცოტა ამაგი როდი დაუდვია მშობლიური კოლექტივისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკუმს არ გააჩნია საწვრთნელი ბაზები, რაც საკმაო სიძნელეებს ქმნის, დირექციის მხარდაჭერით ზ. შენგელია დაუღალავად შრომობს და ხელშესახებ მაჩვენებლებსაც აღწევს.

მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში გასულ წელს მოპოვებული წარმატებებისთვის ტექნიკუმის კოლექტივი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ საპატიო სიგელით და ვიმპელით დააჯილდოვა.

ტექნიკუმში დიდი პოპულარობით სარგებლობს ლელობურთი, რომლის შეფები არიან ზ. შენგელია და ხის დამამუშავებელი კომბინატის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ნოდარ შანიძე. სექცია 1961 წლიდან არსებობს. ჯერ იყო და ტექნიკუმელებმა ბათუმის ჩემპიონობა დაისაკუთრეს, შემდეგ კი ცნობილი ქობულეთელებიც დაჩაგრეს და სადღეისოდ სამგზის ჩემპიონები არიან. შარშან მათ საქართველოს პირველობაზეც იმარჯვეს, ფინალში ჩოხატაურელთა წინააღმდეგობა გატეხეს და უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს.

ლელობურთის გარდა ტექნიკუმელები მისდევენ მძლეოსნობას, მაგიდის ჩოგბურთს, ჭიდაობას, ჭადრაკს, კალათბურთს, ფრენბურთს, ტურიზმს...

საქალაქო ასპარეზობაში ტექნიკუმელმა კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან წააგეს და მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ, სამაგიეროდ, ქართული სტილის მოჭიდავეებმა იყარეს „ჯავრი“ და ყველა მეტოქე დაჯაბნეს.

სპორტულ კოლექტივში ტურისტული მუშაობის კარგი ტრადიციაა დამკვიდრებული. ლაშქრობებში სექციის „შტატიან“ წევრებთან ერთად ახალგაზრდობის ფართო მასებიც მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ გასული წლის საქალაქო ასპარეზობაში, რომელიც სოფელ ჩაისუბნის მიდამოებში გაიმართა, ტექნიკუმელებმა ყველაზე უკეთესი მომზადება გამოავლინეს.

სხვა სექციების შესახებაც ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო. მისასალმებელია, რომ ყველა მოსწავლე მისდევს სპორტის ამა თუ იმ სახეობას. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ კი ცოტას როდი აქვს თანრიგი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა თუ მსაჯის წოდება. ეს თვითეულ მათგანს საშუალებას აძლევს სამუშაო ადგილზე გამოიყენოს საზოგადოებრივი პროფესია და კვლავაც განაგრძოს სპორტული მოღვაწეობა.

ტექნიკუმმა გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების ვალდებულებები. ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობენ გემოვნებით გაფორმებული სტენდები, დიაგრამები და ცხრილები. კარგად დაყენებული თვალსაჩინო აგიტაცია კი ახალი წარმატებების საწინდარია.

**თ. სპანდერაშვილი**
(ჩვენი სპეც. კორ).

ბათუმი.

## ჩვენი ფოსტა

ამას წინათ რედაქციამ მიიღო წითელწყაროელ სპორტის მოყვარულთა წერილი. ისინი გვატყობინებდნენ, რომ სიღნაღის რაიონთან წითელწყაროს შეერთების შემდეგ ფიზკულტურული მუშაობის ცენტრმა მთლიანად სიღნაღში გადაინაცვლა. სპორტული სკოლის 10 შტატიანი ჯგუფიდან ყველა სიღნაღის ზონაშია თავმოყრილი. მოუვლელია წითელწყაროს სტადიონი, დაიშალა ფეხბურთელთა გუნდი, არავინ ზრუნავს მოჭიდავეთა ტრადიციების აღდგენაზე.

წერილი შესამოწმებლად და ღონისძიების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კპ სიღნაღის სასოფლო-საწარმოო პარტიულ კომიტეტს. როგორც პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. დ. გელაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. სიღნაღის სპორტული სკოლის 10 ჯგუფიდან ახალ სასწავლო წელს ორი გადაეცემა წითელწყაროს, შეკეთდება სტადიონი, აღდგენილია ფეხბურთელთა გუნდი.

## ტურისტული ბილიკებით

სოხუმში შეიქმნა სსრ კავშირში პირველი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ტურიზმში. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ლ. გოლდინოვი ეწვია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს მ. ბლაუბას და თხოვა მოეთხრო იმ ამოცანებზე, რომლებიც ამ სამეცნიერო დაწესებულების წინაშე დგას, მის პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, აფხაზეთში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე.

— კარგად ცნობილია, — თქვა მ. ბლაუბამ, — თუ რა დიდ როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ტურიზმი. იგი ამდიდრებს ადამიანთა ცოდნას მშობლიური ბუნების, ქვეყნის ისტორიის შესახებ, აახლოვებს ხალხებს, ამტკიცებს მშვიდობას და ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ტურიზმის კომერციულ მნიშვნელობასაც. ტყუილად არ უწოდებენ მას „შთაბეჭდილებათა ექსპორტს“. მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში ტურიზმი ეროვნული შემოსავლის სოლიდური წყარო გახდა.

ფართოდაა განვითარებული იგი ჩვენშიც, საბჭოთა კავშირში. გასულ წელს აფხაზეთის ხუთმა ტურისტულმა ბაზამ დაახლოებით 900 ათასი საბჭოთა და საზღვარგარეთელი ტურისტი მიიღო.

აფხაზეთი კავკასიის ტენიანი სუბტ რ ო პ ი კ ე ბ ი ს მარგალიტია. მაგრამ იგი ჩვენს სტუმრებს იპყრობს არა მარტო მთისა და ზღვის პეიზაჟების იშვიათი სილამაზის ხედებით, სახელგანთქმული კურორტებით, ისტორიული ძეგლებით, არამედ მაღალგანვითარებული ეკონომიკითა და მრეწველობითაც.

ახლა აფხაზეთში ბევრი ტურისტული სასტუმრო, პანსიონატი, რესტორანი და კემპინგი შენდება. სოხუმში აშენდა ახალი სასტუმრო „თბილისი“ და კაფე „დიოსკურია“. იწყება ახალი საზღვაო სადგურისა და ათასნომრიანი სასტუმროს მშენებლობა.

ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თვალწარმტაცი ტბები მთებში და კარსტულ გამოქვაბულთა უზარმაზარი დარბაზები.

უკანასკნელ წლებში მთებსა და ზღვის სანაპიროზე გამოკვლეულ იქნა მეცნიერებისთვის მანამდე უცნობი 100-ზე მეტი უძველესი ტაძარი, სასახლე და ციხე-სიმაგრე. ახალ აღმოჩენათა შორის არის ჩაძირული ქალაქის — დიოსკურიის ცნობილი ნანგრევები.

ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილი არიან ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ცნობილი სპეციალისტები. ინსტიტუტის დირექტორია ცნობილი აფხაზი მხარეთმცოდნე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ფაჩულია. ინსტიტუტში შექმნილია ტურიზმის ორგანიზაციისა და განვითარების, ეკონომიკისა და პროპაგანდის, ტურისტული შეხვედრების, ფესტივალების, სამხატვრო-მეთოდური, საექსპედიციო და სხვა განყოფილებები.

ჩვენი ინსტიტუტის უახლოესი ამოცანაა — მოქმედი ტურისტული მარშრუტების ყოველმხრივ დაფუძნებული რეკომენდაციების გამომუშავება. უკვე ჩატარდა სამი ექსპედიცია, რომლებმაც გამოიკვლიეს მომავალი ტურისტული მარშრუტები სამთო და მთისწინა ზონებში. მოგვარდა ტურისტული ლიტერატურის გამოცემის საქმეც.

ჩვენ დასახული გვაქვს შევქმნათ ცხენგამქირავებელი სადგურები. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სტუმრები დიდ კმაყოფილებას მიიღებენ აფხაზეთის ტურისტულ ბილიკებზე ცხენით გასეირნების შედეგად.

საერთოდ, ჩვენი ჩანაფიქრი ძალიან ფართოა. აფხაზეთის ტურიზმის ენთუზიასტებს ეჭვი არ ეპარებათ თავიანთი წამოწყებების წარმატებით განხორციელებაში.

(„ახალი ამბების სააგენტო“).

# სპორტული ჟურნალისტების ფორუმზე

### დელეგატის შენიშვნები

ყოველწლიურად იკრიბებიან სპორტული ჟურნალისტები თავიანთ მსოფლიო ფორუმზე — სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე, რათა განვლილი პერიოდის მუშაობა შეაჯამონ, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და დასახონ მომავლის გეგმები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კონგრესებს, რომლებიც ტარდება ოლიმპიადების წლებში. სწორედ ასეთ დროს ირჩევს იგი (ოთხწლიანი პერიოდით) ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

კონგრესი შედგა მიუნჰენში. მასზე შეიკრიბა 49 დელეგატი ევროპის, ლათინური ამერიკისა და აზიის 25 ქვეყნიდან.

მიუნჰენში ჩვენ ჩავედით ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღეს — 9 მაისს. აეროპორტში არავინ შეგვხვდა და ჩვენ საკუთარი ძალებით მოგვიხდა სასტუმრომდე მისვლა. სასტუმროში სასიამოვნო სიურპრიზი დაგვხვდა: ტელეფონის ზარი მოსკოვიდან, დღესასწაულის მოლოცვა.

თუმცა ჩვენი ჩამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩათ გერმანელებს. გაზეთმა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა" დაბეჭდა: „საზღვარგარეთის დელეგატებიდან მიუნჰენში პირველნი ჩამოვიდნენ საბჭოთა-რუსული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი პეტრე სობოლევი მარატ შიშიგინის თანხლებით. მათ შემდეგ ჩამოფრინდა უნგრეთის წარმომადგენელი იშტვან სობატი".

ჩვენ არ გვინანია ადრე ჩასვლა. გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ მიუნჰენში გამოდის დიდი თეატრის ბალეტის არტისტთა ჯგუფი, დავესწარით მის კონცერტს და მასთან ერთად გავინაწილეთ ტრიუმფი.

კონგრესის საზეიმო გახსნა მოხდა ქალაქის რატუშაში, სამუშაო სხდომები კი მიმდინარეობდა ბავარიის რადიოს სახლში.

როგორც ყოველთვის, დღის წესრიგის პირველი საკითხი იყო ახალი წევრების მიღება. შემოვიდა მხოლოდ ორი განცხადება იუგოსლავიისა და თურქეთის წარმომადგენელთა მიღების შესახებ. თუმცა ზოგიერთი დელეგატი, კერძოდ, შვეიცარიისა, შეეცადა ფორმალური მოტივებით გადაეტანა იუგოსლავიის მიღების საკითხი შემდეგი კონგრესისთვის, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა და ორივე ქვეყნის სპორტული პრესის წარმომადგენლები მიღებულ იქნენ ასოციაციაში.

საინტერესოა ერთი დეტალი. თურქეთის ახალმიღებული დელეგატი დარბაზში შემოსვლისთანავე დაჯდა საბერძნეთის დელეგატის გვერდით და ვიღაცამ შენიშნა: „აქ არ არსებობს კვიპროსის პრობლემა".

ამრიგად, ახლა ასოციაცია აერთიანებს 31 ქვეყნის სპორტული პრესის ეროვნულ ორგანიზაციებს. საბჭოთა დელეგატების წინადადებით გაიზარდა ასოციაციის ოფიციალური ენების რიცხვიც: გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებთან ერთად ასეთებად აღიარებულ იქნა რუსული და ესპანურიც. ასოციაციის პრეზიდენტის ა. შიინისა და გენერალური მდივნის მ. ეინგერის (ორივენი — შვეიცარიიდან) მოხსენებებმა ცხადყვეს, რომ უკანასკნელ დროს ასოციაციამ გააქტიურა მოღვაწეობა და მიიღო რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

სსრ კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ ასოციაციის ხელმძღვანელობა არასაკმარისად იყენებდა არსებულ შესაძლებლობებს ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, მისი გავლენის გაძლიერებისათვის და წევრთა რიცხვის ზრდისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადაზე აკრედიტებულ იქნა 39 ქვეყნის 1.362 კორესპონდენტი, ხოლო ტოკიოს ოლიმპიადაზე ელიან 100 ქვეყნის სპორტულ კორესპონდენტთა ჩასვლას. ამ დროს კი სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის შემადგენლობაში მხოლოდ 31 ქვეყანაა. ასოციაციის ხელმძღვანელობა ყოველთვის თანმიმდევრულად არ გამოდიოდა სპორტსმენებისა და სპორტული ჟურნალისტების პოლიტიკური და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

შვეიცარული ხელმძღვანელობის მუშაობის ამ არადამაკმაყოფილებელმა დონემ ასახვა ჰპოვა არჩევნებშიც. ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნა საფრანგეთის სპორტულ ჟურნალისტთა პროფკავშირის თავმჯდომარე ფელიქს ლევიტანი. ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს მე — საბჭოთა კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს წარმომადგენელი. აღმასრულებელ კომიტეტში შევიდნენ აგრეთვე ბელგიის, უნგრეთის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და ფინეთის წარმომადგენლები.

კონგრესმა აღმასკომის ახალ შემადგენლობას დაავალა მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების სპორტული ჟურნალისტების გაერთიანებებთან, მიაღწიოს ასოციაციის რიგების ზრდას და მისი ავტორიტეტის განმტკიცებას. დელეგატები კმაყოფილებით შეხვდნენ მექსიკისა და ვენესუელის წარმომადგენელთა განცხადებას იმის შესახებ, რომ ასოციაციის შემადგენლობაში მალე შევლენ სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები.

კონგრესმა მოისმინა ინფორმაცია ტოკიოს ოლიმპიადაზე პრეს-ცენტრის შესახებ და დაავალა აღმასკომს მუდმივი კონტაქტის უზრუნველყოფა ორგანიზატორებთან, აგრეთვე პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენელთა მომსახურების სანიმუშო ორგანიზაციის მიღწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ გფრ-ის სპორტული პრესის კავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა კონგრესის მომზადებისთვის და კარგი ორგანიზაცია გაუკეთა მას. კონგრესს დიდ ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი დაწესებულებები.

დელეგატებმა მიუნჰენი დატოვეს იმ იმედით, რომ ასოციაციის მოღვაწეობაში იწყება ახალი ეტაპი.

**პეტრე სობოლევი,**

**სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

# ბ. ლარსენი ლიდერობას არ თმობს

როგორც ცნობილია, ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე ყოველი ტური 7 საათს გრძელდება. ამიტომ X ტურში ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ ხუთ პარტიაში, რომლებიც ამ დროისთვის არ იყო დამთავრებული, შეწყდა ბრძოლა. თამაში განახლდა მხოლოდ საათნახევრიანი შესვენების შემდეგ. ტალმა შეუპოვარი დაცვით მოიგერია პერესის იერიში და გაიმარჯვა. სპასკიმ გლიგორიჩთან ადრე მოპოვებული მცირე უპირატესობა მოგებამდე მიიყვანა. ეს გლიგორიჩის მეორე დამარცხებაა. ბილეკი თავგამოდებით იცავდა თავის პოზიციას დარგასთან, მაგრამ ბოლოს მისი დაცვითი ნაგებობა მაინც დაიმსხვრა. გაიმარჯვა დარგამ. კვლავ დაუმთავრებელი დარჩა ბენკო — ბრონშტეინის შეხვედრა. პარტია გადადებულია ეტლების ენდშპილში, სადაც საბჭოთა დიდოსტატს გამარჯვების შანსები აქვს.

X ტურის შემდეგ ლიდერობას განაგრძობს ბ. ლარსენი, რომელსაც 8 ქულა აქვს. მას კვალდაკვალ მისდევენ ბ. ივკოვი — 7,5 ქულა, ს. რეშევსკი, მ. ტალი, ბ. სპასკი — 7 თვითეულს, დ. ბრონშტეინი — 6,5 და ერთი გადადებული პარტია, ვ. სმისლოვი, კ. დარგა — 6,5 თვითეულს.

# მეტი ყურადღება ბავშვთა ფეხბურთს!

ჩვენი წერილი გვინდა დავიწყოთ იმით, რომ შევახსენოთ ფეხბურთის მოყვარულებს თუ როგორი ფეხბურთელები აღზრდილან ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ბაზაზე. ა. კავაზაშვილმა (მოსკოვის „ტორპედო"), ი. ფროლოვმა (ცსკა), ი. დათუნაშვილმა (თბილისის „დინამო"), რ. კვასხვაძემ (ქუთაისის „ტორპედო"), მ. ჩხაიძემ (თბილისის „ლოკომოტივი"), ა. კვაჭაძემ, ტ. ვერულიძემ (ბათუმის „დინამო") სწორედ აქ აიდგეს პირველად ფეხი და მიიღეს დიდი ფეხბურთის საგზური.

პარკში ყოველწლიურად ეწყობა თასის ტრადიციული გათამაშება, რომელშიც წელს 13 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-2 და მე-10 სკოლების ნორჩი ფეხბურთელები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მე-2 სკოლის გუნდმა შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 1:0 და დაეუფლა პრიზს.

აღსანიშნავია, რომ ამ საინტერესო ღონისძიებას წელს თავი აარიდეს ზოგიერთი სკოლების (მე-3, მე-5, მე-11, მე-15, მე-17, მე-20 და 22-ე) ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. გარდა ამისა, შეჯიბრება, რომელიც თვენახევარს გრძელდებოდა, სრულებით არ იყო აფიშირებული.

**ო. მურვანიძე**

ბათუმი.

# მექვსე რაიონის ფიზკულტურელთა მონაწილეობით

სიღნაღისა და წნორის ფრენბურთის მოედნებზე ოთხ დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრებები ფრენბურთში „კოლმეურნის" რესპუბლიკურ პირველობაზე აღმოსავლეთ საქართველოს ზონაში.

ფრენბურთელ ქალთა შეხვედრებში I ადგილი დაიკავეს ყვარლელმა სპორტსმენებმა.

საინტერესო იყო ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრები. შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარეს და ზონაში პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავეს სიღნაღის რაიონის კოლმეურნე-ფრენბურთელებმა.

საპრიზო ადგილებზე გამოსული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება მიმდინრე წლის 10 ივნისიდან სოხუმში.

**ნ. შარმიაშვილი,**

**სიღნაღის რაიონული გაზეთ „კოლმეურნის" მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.**

# ივნისი — სპორტული, საერთაშორისო...

მოსკოვი, 2 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). ძალიან ბევრ საინტერესო შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა საბჭოთა სპორტსმენებს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე. მარტო ივნისის თვეში ისინი ჩაატარებენ 82 შეხვედრას მსოფლიოს 30 ქვეყნის წარმომადგენლებთან. მათ შორის ყველაზე საინტერესო იქნება ევროპის ჩემპიონატი მოტოკროსში (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი), ევროპის ჩემპიონატები სასტენდო სროლაში (ბოლონია) და ძალოსნობაში (მოსკოვი). ევროპის ჰერკულესები კონტინენტის ჩემპიონის სახელს ერთმანეთს შეეცილებიან 25—28 ივნისს.

საქართველოს სპორტის მოყვარულთ, რასაკვირველია, აინტერესებთ რა შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას მათი რესპუბლიკის სპორტსმენები. უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელები სხვებთან ერთად გაემგზავრნენ ინგლისს, სადაც ბეკმენის, ლონდონისა და უიმბლდონის ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას (შეჯიბრებები მოეწყობა ბალახის კორტებზე). საფრანგეთში წარმატებითი ტურნეს შემდეგ, ევროპის ორგზის ჩემპიონი ძიუ-დოში ა. კიკნაძე სხვა ქართველ მოჭიდავეებთან ერთად შევა „დინამოს" ნაკრებ გუნდში, რომელიც 6 ივნისს მოსკოვში მატჩს ჩაატარებს უნგრეთის დოჟას სახელობის კლუბთან.

მიმდინარე თვეში საბჭოთა ფეხბურთელები ითამაშებენ 17 საერთაშორისო მატჩში, მათ შორის — ევროპის თასზე დასკვნით მატჩებში. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ივნისის ბოლოს გაემგზავრებიან პოლონეთში. აქ ისინი მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოება „გვარდიის" 20 წლისთავისადმი მიძღვნილ თამაშებში.

22-24 ივნისს თბილისელები ნახავენ საქართველოსა და დანიის ხელბურთელთა თამაშს.

ქართველი წყალბურთელები 16 ივნისს ჩავლენ ბუქარესტში, სადაც რამდენჯერმე შეხვდებიან რუმინელ სპორტსმენებს.

თბილისში ჩამოვა უნგრეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი. საქართველოს ფრენბურთელები ამ პერიოდში გაემგზავრებიან ირანში. თეირანში ისინი შეხვდებიან „ეტელიატე ბანუვანის" გუნდს.

# საქმიანი შეკრება

ამ დღეებში თბილისის პედკაბინეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა დედაქალაქის ფიზაღზრდის მასწავლებლებთან. შეხვედრას, რომელიც მოეწყო გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციის ინიციატივით, დაესწრო ფიზაღზრდის 200-ზე მეტი მასწავლებელი და ფიზკულტურული მუშაკი. მათ განიხილეს ფრიად აქტუალური საკითხი — „სპორტი თუ ფიზიკური აღზრდა". ადრე ამ საკითხზე „ვეჩერნი ტბილისის" ფურცლებზე გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე.

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა გ. მერკვილაძემ (საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის მეთოდკაბინეტის გამგე), ა. ორახელაშვილმა (საქართველოს განათლების სამინისტროს ინსპექტორი), დ. ფავლენიშვილმა (თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის დირექტორი), გ. ჯაფარიძემ (პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრა), ე. ხახუბიამ (61-ე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი), გ. მჭედლიშვილმა (23-ე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი) და სხვებმა ილაპარაკეს ფიზკულტურაში ნიშნის დასმის, ახალი პროგრამების დამუშავების, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სპეციალური ლიტერატურის გამოცემის, სპორტული ინვენტარის ნაკლებობის, სკოლებში სამედიცინო პერსონალის მუშაობისა და სხვა საკითხების გარშემო.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორი პ. ასლანიდი, რომელმაც შეაჯამა ფიზაღზრდის მასწავლებელთა თათბირის შედეგები. დაისახა ღონისძიებები თბილისის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტში ჩაბმის უკეთ დაყენების მიზნით.

**ი. ხაბეიშვილი**



თბილისის პიონერთა შეჯიბრებისას კომბინირებულ ამანათცურვაში გამარჯვებული მე-13 საშუალო სკოლის გუნდი (მარცხენა სურათი). მარცხნიდან — ა. კიზივალტერი, ი. ოვჩინიკოვა, ი. ეფრემოვა, ლ. ბურკინა.

ფოტო ი. იუნაევისა.

დედაქალაქის სპორტკავშირის თასზე მოწყობილ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა თბილისის 27-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. იოაკიმიდიმ (მარჯვნივ), რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში დაამყარა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი — 5.31,6.

ფოტო ბ. კამენსკისა.



# სამი წლის შემდეგ...

★

## სტუმრები — განმეორებითი ვიზიტით

1961 წელი, 19 მაისი... თბილისის სპორტის სასახლე. ხელბურთელთა პირველი დიდი საერთაშორისო შეხვედრა!

სწორედ ამ დღეს ძალების პირველმა გამოცდამ დიდი წარმატება მოუტანა ქართველ ხელბურთელთა ახალგაზრდა გუნდს. ეს გამარჯვება სიურპრიზი იყო არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობისთვის, არამედ... უნგრეთის ეროვნული ნაკრებისთვისაც. თბილისში ჩამოსვლამდე უნგრელებმა ხომ მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს ბუქარესტის თასის გათამაშებაში!

ერთი სიტყვით, „აღმოაჩინეს" ახალი სახელბურთო ქვეყანა. მაგრამ უნგრელები როდი იყვნენ კოლუმბები! კაცმა რომ თქვას, კოლუმბების როლში ქართველი ხელბურთელები გამოვიდნენ, რომლებმაც სტუმრებთან პირველი ორი მატჩის მოგებით სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო შეხვედრების ანგარიში გახსნეს — შედგა პირველი ნაცნობობა საზღვარგარეთის ხელბურთელებთან.

და აი, დღეს, სამი წლის შესვენების შემდეგ, ერთმანეთის პირისპირ კვლავ დადგებიან ძველი მეტოქეები. ჩეხოსლოვაკიაში წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში უნგრელებმა ერთობ მოკრძალებული — VIII ადგილი დაიკავეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მადიარების ქვეყნის ხელბურთელთა თამაშის კლასი დაბალია. პირიქით, უნგრელებმა ხელბურთელთა მსოფლიო ფორუმზე საკმაოდ ლამაზი, დახვეწილი და ტექნიკური თამაში აჩვენეს.

აი, როგორ წარიმართა შესარჩევ მატჩებში მათი ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობისთვის. ორი თამაში უნგრელებმა საკმაოდ გამოცდილ მეტოქეებს — პოლონელებს მოუგეს (16:12, 23:18) და ჩეხოსლოვაკიაში წასასვლელი საგზურები მოიპოვეს. ბრატისლავას ქვეჯგუფში უნგრელებმა დაამარცხეს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკისა (16:9) და ისლანდიის (21:12) ნაკრები კოლექტივები, ხოლო წააგეს შვედებთან (8:15) და ნახევარფინალურ ჯგუფში გავიდნენ. აქ უნგრელებმა ერთი მატჩი მოიგეს (გფრ-თან — 19:15) და ერთიც წააგეს (იუგოსლავიასთან — 15:16). საბოლოოდ ისინი VII—VIII ადგილების ბედის გასარკვევად დანიელებს შეხვდნენ და დამარცხდნენ — 14:23.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელბურთელები V—VI ადგილებისთვის იუგოსლაველებს შეხვდნენ და საკმარისი იყო ნახევარფინალში უნგრელების მიერ იუგოსლაველთა დამარცხება, რომ მადიარები მეტოქეები გახდებოდნენ. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ თამაშის კლასით უნგრელები ძალზე ახლოს იდგნენ საბჭოთა ნაკრებთან.

მე ამ ტურნირის უშუალო მოწმე ვიყავი და უნგრელები უმეტესად ტოლს არ უდებდნენ მეტოქეებს. მაგალითად, გფრ-ის გუნდთან მოგებით მათ I—II ადგილისთვის ბრძოლის გზა გადაუკეტეს გერმანელებს...

დღევანდელი და ხვალინდელი მატჩები, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს. თბილისის სპორტის სასახლისა და კიროვის პარკის მოედნებზე უნგრელ ქალებს მასპინძლობას გაუწევს სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი — მოსკოვის „ტრუდი".

**ჯ. ენუქიძე**



ილგლიანი ანკესები.

ფოტოეტიუდი ვ. გენგიურისა.

# მსოფლიოში მეორე



მარიონ გრეფე! ეს გოგონა სკოლაში გატაცებით თამაშობდა ხელბურთს, ჰქონდა ზუსტი და იმდენად ძლიერი ტყორცნები, რომ ჭაბუკებსაც შურდათ. მაგრამ იგი ხელბურთს არ გაჰყოლია. 15 წლისამ თარჯრბენში სცადა ძალები, ხოლო, როცა პირველად ტყორცნა შუბი, მწვრთნელ კ. ბაუერფალდის რჩევით, საბოლოოდ ეს სახეობა აირჩია. შედეგებიც მალე გამოჩნდა.

21 წლის მ. გრეფე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის ყველა სპორტის მოყვარულმა გაიცნო — მან ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ქალთა შორის შუბის ტყორცნაში (54,02 მ). ერთი წლის შემდეგ, გდრ-ის მორიგ პირველობაზე, გრეფემ აჩვენა 58,45 მეტრი. ამ შედეგით მან მძლეოსნობის ისტორიის მანძილზე მეორე ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოში (შუბის ტყორცნაში) და მხოლოდ 1,33 მეტრით ჩამორჩა ე. ოზოლინას მსოფლიო რეკორდს.

ბევრი სკეპტიკურად უყურებდა მ. გრეფეს წარმატებას. მას შემთხვევითობით ხსნიდნენ. მარიონი კი დაულალავად ვარჯიშობდა და რსფსრ—პოლონეთ — გდრ-ის მატჩზე „კონტრდარტყმა" აგემა სკეპტიკოსებს: აჯობა აღიარებულ ოსტატებს ე. გორჩაკოვას, ი. შვალბეს, ა. შასტიტკოს, უ. ფიგვერს. მისი შუბი 57,22 მეტრზე გაფრინდა.

წინაოლიმპიურ სეზონში ორ შეჯიბრებაში ორი საერთაშორისო კლასის შედეგი ბევრს ლაპარაკობდა სპორტსმენის სასარგებლოდ. მაგრამ მესამე შეჯიბრებისას გრეფემ ტრავმა მიიღო.

როცა მან მკურნალობის პროცესი გაიარა და სექტორს დაუბრუნდა, აღმოჩნდა, რომ ავადმყოფობას ბევრი ვერაფერი დაეკლო სპორტსმენისთვის.

ლაიფციგის ლაქსაღებავების ფაბრიკის ქიმიკოს-ლაბორანტი მ. გრეფე (სიმაღლე — 168 სმ, წონა — 64 კგ) მეტად მოქნილია, შესანიშნავად ფლობს ტექნიკას, ძლიერი აქვს ხელის მტევანი, და რაც დამახასიათებელია, ტყორცნის მარცხენა ხელით. ეს შორიდანაც ადვილად გამოსაცნობს ხდის მის მოძრაობას.

გრეფეს ჰკითხეს: როგორია მისი ამოცანა? — „მოვხვდე ოლიმპიურ ნაკრებში! — მოკლედ უპასუხა მან. — რაც შეეხება ტოკიოს, იქ წარმატებას მოიპოვებს სპორტსმენი, რომელსაც უკეთ შეეძლება დაზოგოს ნერვები გადამწყვეტი ტყორცნებისთვის".

სიდინჯე და თავშეკავება კი ოლიმპიური ოქროს მედლის ამ ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტის მთავარი თვისებაა.

* * *

სურათზე: მარიონ გრეფე მოსკოვის მატჩში გამარჯვებულის პრიზით.

# საზღვარგარეთის ამბები

## ჭირვეული კაპიტნის დამხობა

ცნობილი არგენტინელი თავდამსხმელი ომარ სივორი 1958 წლიდან თამაშობს ტურინის „იუვენტუსში". ამ ხნის განმავლობაში მან გუნდს თავისი მაღალი ოსტატობით დიდი სამსახური გაუწია, და ორჯერ, სხვებთან ერთად, იტალიის ჩემპიონობაც მოუპოვა. ამასთან, სივორიმ, რომელსაც მეტად ჭირვეული ხასიათი აქვს, „იუვენტუსს" ბევრი უსიამოვნებაც მოუტანა. სივორი ვერ იტანს, როდესაც გუნდის ხელმძღვანელობა ახალ მოთამაშეებს აწინაურებს, ან მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ „ვარსკვლავებთან". იგი მოითხოვს მისდამი სრულ დამორჩილებას, ხოლო თამაშის პროცესში უსიტყვო მომსახურებას. სწორედ სივორისთან უთანხმოების გამო „იუვენტუსიდან" წასვლა არჩიეს უელსელმა ჯონ ჩარლზმა, იტალიის ნაკრების მოთამაშეებმა ბონიპერტიმ და მორამ, ბრაზილიელმა მირანდამ.

ვიდრე „იუვენტუსის" საქმეები კარგად მიდიოდა, გუნდის ხელმძღვანელობა ვერაფერს უბედავდა თავის წამყვან ფეხბურთელს. იგი კაპიტნად აირჩიეს და მუდამ ერეოდა მწვრთნელთა ფუნქციებში. მაგრამ უკანასკნელი ორი წელია, სივორის ოსტატობას არაფერი მოაქვს „იუვენტუსისთვის". იგი ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტიც კი ვერ გახდა. ამიტომ „იუვენტუსის" პატრონმა ანელიმ გადაწყვიტა ანგარიში აღარ გაუწიოს ჭირვეულ კაპიტანს, გუნდის „ტექნიკურ დირექტორად" (ჩვენებურად გუნდის უფროსად) დანიშნულ იქნა ბონიპერტი, რომელსაც სივორი ვერ იტანს. იმის გამო, რომ სივორი გადაჭრით წინ აღუდგა ახალი მოთამაშეების—საფრანგეთის ნაკრების ცენტრფორვარდ ივონ დუისა და არგენტინელ ნახევარმცველ ნესტორ როსის ყიდვას, იგი კაპიტნობიდან გადააყენეს და 600 ათასი ლირით დააჯარიმეს.

## • უიმბლდონისათვის მზადება •

ბევრი გამოჩენილი ჩოგბურთელი ემზადება ამჟამად უიმბლდონის დიდი საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც ძალთა ნამდვილი დათვალიერება იქნება „დევისის თასის" დასკვნითი თამაშების წინ. ავსტრალიის ჩოგბურთელთა კავშირმა განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ყველა გამოჩენილი მოთამაშე როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, ინგლისში გაემგზავრება.

ცნობილი ბრაზილიელი ჩოგბურთელი ქალი, ადრე უიმბლდონში გამარჯვებული მარია ბუენო უკანასკნელი წლების მანძილზე საკმაოდ წარუმატებლად გამოდის, მაგრამ ამჟამად დამაბული წვრთნის შედეგად ბუენომ მოახერხა კარგი ფორმის აღდგენა.

— ჩემი მიზანია, — განაცხადა ბუენომ, — უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში ადრინდელი შედეგის გამეორება. ამ მხრივ მთავარი ბრძოლა ავსტრალიელებთან მომიწევს.

## „რაპანის თასი"—ჩეხოსლოვაკელებს

დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელსაც მისი ორგანიზატორის პატივსაცემად „რაპანის თასი" ეწოდება. გათამაშება დაიწყო შარშან ზაფხულში ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის, ჰოლანდიისა და შვეციის ფეხბურთელთა 32 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით.

პირველ ეტაპზე ჩატარდა ასპარეზობა წრიული სისტემით 8 შესარჩევ ქვეჯგუფში, რომლებშიც გამარჯვებულებმა ბრძოლა უკვე ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს.

თითქმის ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ ასპარეზობას ორი გუნდიღა შემორჩა — ჩეხოსლოვაკიის არაერთგზის ჩემპიონი, ბრატისლავას „სლოვნაფტი" (ყოფილი „რუდა გვეზდა") და პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონი „პოლონია" (ბიტომი). მათი გადამწყვეტი მატჩი, რომელიც ამ დღეებში ბრატისლავაში გაიმართა, დამთავრდა მასპინძლების ძნელი გამარჯვებით — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ცნობილმა თავდამსხმელმა შერერმა თამაშის 56-ე წუთზე.

ამგვარად, „სლოვნაფტმა", რომელიც „რაპანის თასის" შარშანდელი მფლობელიცაა, შეინარჩუნა ეს საპატიო ჯილდო.

## კოსტიჩის ხსოვნის ტურნირი

შარშან ოქტომბერში გარდაცვლილი უხუცესი იუგოსლაველი დიდოსტატის ბორა კოსტიჩის ხსოვნას იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ მიუძღვნა საერთაშორისო ტურნირი 16 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით.

პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა ახალგაზრდა იუგოსლაველი დიდოსტატი პარმა, მაგრამ მან შეხვედრების უმრავლესობა ყაიმით დაამთავრა. პირველი ადგილი 12,5 ქულით (15 შესაძლებლიდან) დარჩა საერთაშორისო ოსტატ მატულოვიჩს. საყურადღებოა, რომ ასპარეზობაში მონაწილეობდა უსინათლო ოსტატი ბარეტიჩი, რომელიც წელს ნონა გაფრინდაშვილთან ერთად თამაშობდა ჰასტინგსის „ჩელენჯერ-ტურნირში". მან 6,5 ქულით X ადგილი დაიკავა.



უსიტყვოდ....
პოლონურ ჟურნალ „სპორტოვეციდან".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საერთაშორისო შეხვედრები ხელბურთში

**დღეს —**

სპორტის სასახლეში,

**ხვალ —**

კიროვის სახ. პარკში

ქალები: უნგრეთი (ნაკრები) — „ტრუდი" (მოსკოვი, სსრ კავშირის ჩემპიონი).

ვაჟები: უნგრეთი (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები).

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

